

საპროცესო შეთანხმების სრულყოფის ცალკეული პრობლემები

ნიკა ცხვარაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური
პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საპროცესო შეთანხმების არსი და მნიშვნელობა, თეორიულ ჭრილში გაანალიზებულია აღნიშნული ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ნაჩვენებია საპროცესო შეთანხმების ის უარყოფითი და მახინჯი მხარეები, რომლებიც წინა ხელისუფლების მართლმსაჯულების პროცესის რეალიზაციისას გამოვლინდა. საპროცესო შეთანხმების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები. ცალკეული საკითხების განხილვისას ავტორს გამოყენებული აქვს სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, რაც მის შეხედულებებსა და რეკომენდაციებს უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს.

SOME PARTICULAR ISSUES ON PLEA BARGAIN'S IMPROVEMENT

Nika Tskhvarashvili

General Director of

Penitentiary Service

of the Ministry of Justice of Georgia

PhD student at Caucasus International University

RESUME

Work describes essence and the meaning of the plea bargain. There is analyzed the mentioned institution's positive and negative sides in a theoretical cut; there are shown those negative and ugly sides of plea bargain, which was revealed during the realization of justice by previous authority. For plea bargain's further improvement purposes the proper references are worked out. During the discussion of particular topics, author has used some examples from judicial practice, which adds more confidence to his views and references.

* * * *

სწრაფი მართლმსაჯულების სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც ანგლოსაქსურმა სამართლის მოდელმა დაუდო სათავე, დღეისათვის უაღრესად აქტუალურია არა მარტო ქართული, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობებისათვის.

ჯერ კიდევ, 1987 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, სპეციალურად იქნა მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს სთავაზობდა სამართალწარმოების გამარტივებული ფორმების დანერგვას და „სისხლის სამართლის დავების“ გადაწყვეტის დაჩქარებული ფორმების შემოღებას.¹

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც სამართალწარმოება დროში ძალზე გაწელილი იყო,² დაიწყეს სამართალწარმოების არსებული მოდელების სრულყოფა და ტრადიციული მექანიზმების გამარტივება, შემოღებული იქნა მრავალი ისეთი საპროცესო რეგულაციები, რომლებიც სამართალწარმოებას დროში აჩქარებდა და საპროცესო მოქმედებებს ამარტივებდა, რის გამოც დღეისათვის ევროპის უმრავლეს ქვეყანაში (ბელგიაში, იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში და ა. შ.) საპროცესო კანონმდებლობის სხვადასხვა ფორმით ეს მოთხოვნები რეალიზებულია და წარმატებითაც ფუნქციონირებს. ამ იდეას საფუძვლად უდევს შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპები და სასამართლო ორგანოების მიერ გამოძიების სტადიაზე მუდმივი კონტროლი.

ფორმალური ბრალის აღიარება ან გარიგება – ეს არის სისხლის სამართლის პროცესში ერთი მხარის განცხადება ფაქტის აღიარების შესახებ, რომელზედაც მეორე მხარე აფუძნებს თავის მოთხოვნას ან საწინააღმდეგო აზრს, ის ათავისუფლებს მეორე მხარეს აღნიშნული ფაქტის შემდგომი აუცილებელი დასაბუთებისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში ითვლება დამტკიცებულად.³ არსებობს ფორმალური ბრალის აღიარების რამდენიმე სახესხვაობა.

გარიგება ბრალის აღიარების შესახებ. კლასი-

1 Доступы к правосудию. Комитет министров - государствам-членам относительно упрощения уголовного правосудия. №12(87), 17-18 сентября, 1987. Российская юстиция, 1987, №8, с.3.

2 ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი, 1999, გვ. 393.

3 მ. მამნიაშვილი, ფორმალური ბრალის აღიარება, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 249-258;

კური მაგალითია **plaabaring**-ის ამერიკული სისხლის სამართლის პროცესი, რომელსაც დაუყოვნებლივ მოსდევს სასამართლო განხილვის დამთავრება და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გარიგებას, მარტივია, – მხარის მიერ სადავო ფაქტის აღიარება ნიშნავს დავის შეწყვეტას და შესაბამისად, თვით შეჯიბრებითობის პროცესის სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტასაც, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის დავა, არ არის პროცესი. არსებითად, გარიგება ბრალის აღიარების შესახებ – ეს არის იურიდიული პრეზუმფიცია, რადგანაც შეთანხმების დადებისას ბრალდებული პირობითად ითვლება დამნაშავედ. ბრალზე გარიგება – კერძო-სასარჩელო სამართალშეგნების გამოვლენა, მისი ძირითადი ამოცანა უტილიტარულია – ეს არის პროცესუალური ეკონომიის მიზნით კონფლიქტის სწრაფი „მოხსნა“ და მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება, ასევე (ბრალდებულის მიმართ) სასჯელის შემსუბუქება.⁴ ერთიც და მეორეც ძალიან შორს დგას ფაქტიური ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებთან. მაგალითად, „საპროცესო გარიგების“ სამშობლოში – ამერიკის შეერთებულ შტატებში „საპროცესო გარიგებისას“ წინა რიგში წამოწეულია ბრალდებულის მხრიდან „ბრალის აღიარება“, რომელსაც ასევე, უძღვის ბრალმდებლისა და ბრალდებულის დამცველის შეხვედრა და მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ბრალდებულმა აღიაროს ბრალი, ამასთანავე, სრულიად არ არის აუცილებელი, საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი შემოწმება და ამის ბაზაზე მათი პოზიციების ჩამოყალიბება. მრავალი დანაშაული ჩადენის ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (ფელონიები) და სწორედ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის (მისდომიმინორის) ჩადენის აღიარებას მოელიან ბრალდებულისაგან. ნაკლებად შესაძლებელია, რომ მხარეები გარიგებაზე ვერ შეთანხმდნენ, რადგანაც დამცველი ურჩევს ბრალდებულს აღიაროს ბრალი, რომ ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალია. მაგრამ, თუ მოხდა ისე, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ურთიერთმისაღებ პირობებზე, აშშ-ს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მხარეებმა დასახმარებლად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს ბრძანება ე. წ. „სამომრიგებლო შეხვედრის“ მოწვევის შესახებ. „შეხვედრა“, რომელიც ტარდება მოსამართლის მიერ, მონაწილეობას ღებულობენ არა მარტო მხარეები, არამედ მოსამართლის მოთხოვნით სხვა პირებიც, მათ შორის დაზარალებულიც. მოსა-

მართლეს შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება „საპროცესო გარიგებასთან“ დაკავშირებით, რაც ბუნებრივია გათვალისწინებული უნდა იყოს. ანუ, უნდა მოხდეს სამშვიდობო შეთანხმება, როგორც ეს ხდება სამოქალაქო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის დროს.⁵

ბრალდებულიც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ათანხმებს თავის დამცველთან „საპროცესო გარიგების“ პირობებს და ცდილობს ამით მიიღოს სარგებელი (ყოველგვარი თანხის გადახდის გარეშე), თუნდაც საქმის არსებითი განხილვით სრული გამართლებაც კი მოეპოვებინა. ამასთანავე, ბრალდებული შეიძლება დაითანხმონ გამოვიდეს მონმედ სრულიად სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, როგორცაა ორგანიზებული დანაშაული. თუ კი ბრალდებული ამხელს ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენს, ეხმარება და თანამშრომლობს გამოძიებასთან მნიშვნელოვან შეღავათს იღებს ამერიკელი მეცნიერის, სტივენ ტეიმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი „ლიფსიტა“ ამხელს „ბობოლას“, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები.⁶ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ არ არის არაფერი საძრახისი იმაში, რომ სასამართლო ბრალდებულისაგან იღებს ფორმალურ განცხადებას ბრალის აღიარების შესახებ, მიუხედავად იმისა, ბრალდებული დაჟინებით თვლის თავის თავს უდანაშაულოდ. ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა ერთ-ერთი სასამართლოს საბრალდებო განაჩენი, ბრალის აღიარების შესახებ დანაშაულზე, რომლის ჩადენა იყო „ლოგიკურად და იურიდიულად შეუძლებელი“. აშშ-ს კანონმდებლობით მოწონებული „საპროცესო გარიგების“ ინსტიტუტი ემსახურება მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას და სასამართლოების განტვირთვას სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვისაგან, სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოში წარმართულ საქმეებიდან 80%-დან 90%-მდე მთავრდება საპროცესო შეთანხმებით ბრალის აღიარების შესახებ,⁷ რისი მოტივირებაც სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით აიხსნება.

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ბრალის აღიარების მიღება ბრალდებულის მხრიდან მტკიცების სამართლის სფეროს განეკუთვნება, თუ ბრალდებულმა ბრალი

4 George Fisher. Plea Bargainings triumph: a history of plea Bargaining in Amerika. Standard Universiti Press, 2003, p. 53;

5 Mary E. Vogel, Plea Bargaining, the Courts and the Makind of Policial Authorits, Oxsford Universiti Press, 2007, p.57;

6 Стивен Тейман (профессор права Сент-луйского университета США) Сделки о признании вины и сокращения формы судопроизводства: по какому пути пойдёт Россия ; «Российская юстиция», N10, 1998, с. 35-37

7 Neolauer D.W., America's courts and the criminal justice sistem. North scituate (Mass), 1979. p. 37.

აღიარა წინასასამართლო სტადიაზე, პოლიციაში დაკითხვის დროს და ასევე სრული მოცულობით აღიარებს ბრალს სასამართლოში ეს უკვე ნიშნავს უარს სასამართლო კამათზე, ანუ იკარგება იმის აუცილებლობა, რომ მხარეებმა სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად წარადგინონ მტკიცებულებები, ასეთ დროს, უმრავლეს შემთხვევებში სასამართლო გადადის საჯგულის შეფარდების საკითხზე.

ბრალის აღიარების ინსტიტუტის იურიდიული ბუნება ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც ბრალდება გარკვეულ დათმობებზე მიდის დაცვის მიმართ (საბრალდებო აქტიდან ამორიცხავს ბრალდების ცალკეულ პუნქტებს, ამსუბუქებს ბრალდების კვალიფიკაციას და სხვა), ამიტომ მთლიანობაში, ინგლისელ მოსამართლეთა თანამედროვე პოლიტიკა ისეთია, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ წაახალისონ ბრალდებული, რათა მან აღიაროს ბრალი, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს სისხლის სამართლის პროცესს, თავიდან იქნება არიდებული სასამართლო განხილვის მთელი რიგი ხანგრძლივი და რთული ეტაპები. გამარტივდება საქმის განხილვა და იგი უფრო იაფი გახდება. ასეთი ტენდენციის დასტურად გამოდგება კოფის საქმე, რომელიც გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ 1974 წელს. მასში აღიარებულია მსჯავრდებულისათვის სასჯელის ზომის 30 %-ით შემცირების მიზანშეწონილება, მის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში. გარიგებები მაინც იკვლევენ გზას ამერიკული ნიმუშის მიხედვით, თუმცა ინგლისში ეს გარიგება ისე გავრცელებული არ არის, როგორც აშშ-ში.⁸

ცელერანტული (ლათ. *celerantes* – ჩქარი, უსწრაფესი) გარიგება, ესე იგი, გარიგება, მართლმსაჯულების პროცედურების გამარტივების შესახებ. თუ კი ამერიკული გარიგება ბრალის აღიარების შესახებ ფორმალურად დაკავშირებულია წარმოდგენებთან, სასამართლო გადაწყვეტილების ქეშმარიტებასთან, ე.ი. პრეზუმირებულია, რომ ბრალდების მიერ ბრალის აღიარება უტყუარია, ევროპის რიგი ქვეყნების სისხლის სამართალწარმოების პროცესით (ესპანეთი, იტალია და სხვა) გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო გარიგების გამოყენება, რომლის ობიექტს ასევე წარმოადგენდა არა მარტო თვით ბრალეულობა, არამედ ბრალდებულის ფორმალური თანხმობა საბრალდებო დასკვნასთან (კონფორმიდადი – ესპანეთის სსსკ 655, 589 მუხლები) ანდა „სასჯელის დანიშვნა“ (ეგრეთ წოდებული

პატივჯამენტი – იტალიის სსსკ 444-448 მუხლი, 1988 წლის რედაქციით). ორივე შემთხვევაში ბრალდებული თანხმდება ასეთ გარიგებებს ისე, რომ შეუძლია არ აღიაროს დანაშაული. ამ ქმედების საპასუხოდ კანონით გათვალისწინებულია უფრო მსუბუქი სასჯელი (არაუმეტეს 6 წელი ესპანეთში), ანდა სასჯელის განსაზღვრული ვადის შემცირება (თავისუფლების აღკვეთის შემცირება ერთი მესამედით, იტალიაში). ამასთანავე, სასამართლო გამოძიება არ ტარდება. პრაქტიკაში ასეთი გარიგება აღიქმება, როგორც მხარეთა შეთანხმება დამნაშავეობის შესახებ, რისთვისაც დაიმსახურა არაოფიციალური სახელწოდება „წული აღიარება“.⁹ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლი (მე-10 ნაწილი) ასევე ითვალისწინებს საქმის გადაწყვეტას ცელერანტული გარიგების გამოყენებით. ასეთ დროს პროკურორს, დაზარალებულს, ბრალდებულს შორის საშუალო სიმძიმის დანაშაულებზე (რომელიც ითვალისწინებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) იდება შეთანხმება სასჯელის დანიშვნის შესახებ. სასამართლო გამოძიება არ ტარდება და სასამართლოს მიერ თავისი განაჩენით მტკიცდება მხარეების მიერ წინასწარ შეთანხმებული სასჯელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით პრინციპის სახით გარანტირებულია სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნვეყოფა, სადაც მითითებულია რომ ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადო მომზადებისათვის. სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. ამასთანავე, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმება ორი მიმართულებით გამოიყენება: პირველი – ხელს უწყობს მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარებას და, მეორე, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირების გამოსააშკარავებლად, რადგანაც თუ კი განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისათვის არსე-

⁸ გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 168- 169;

⁹ მ. მამნიაშვილი, ფორმალური ბრალის აღიარება, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბოსონიას რედაქციით, გამ. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 249-258;

ბიზნეს-ინფორმაცია, შეიძლება ასეთ პირს შეუმცირდეს სასაქონლო ზომა ან/და სრულად გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასაქონლოსაგან.

საპროცესო შეთანხმების არსი. მოქმედ საპროცესო კოდექსში განსახილველი ინსტიტუტი დასაბუთებულია როგორც „საპროცესო შეთანხმება“, ხოლო უკანასკნელ პერიოდში კანონმდებელმა მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლს დაემატა 11¹ ნაწილი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების ცნების დეფინიცია, **მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი. ესე იგი, მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებს ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.**

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ორ საფუძველს – შეთანხმებას ბრალსა ან სასაქონლოზე.

რაც იმას ნიშნავდა, რომ საპროცესო შეთანხმება შეიძლებოდა დადებულიყო ბრალის აღიარებისას ან სასაქონლოზე შეთანხმებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალდებული არ ეწინააღმდეგებოდა ნაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმებოდა პროკურორის სასაქონლო ზომაზე ან მისგან სრულ გათავისუფლებას, ხოლო ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებულს უნდა ელიარებინა დანაშაული.

უნდა ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველების ორად გაყოფაზე თავიდანვე იურიდიულ ლიტერატურაში უარყოფითი მოსაზრებები იყო გამოთქმული. პროფ. ნ. გვენეტაძესა მიაჩნდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის დებულება, რომელიც სასაქონლოზე შეთანხმებას შეეხება, ბრალდებულს უფლებას აძლევდა დათანხმებოდა სასაქონლო ზომაზე ისე, რომ არ

ელიარებინა დანაშაული, ასეთ დროს მკვლევარის აზრით, გაუგებარი რჩება საპროცესო შეთანხმების არსი და მიზანი,¹⁰ პროფ. რ. გოგშელიძეს კი „სასაქონლოზე შეთანხმების“ საფუძველის ცალკე არსებობა ზედმეტად მიაჩნდა,¹¹ ხოლო, ც. რატიანის აზრით, სასაქონლოზე შეთანხმების საფუძველი, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესში იყო წარმოდგენილი, უფუნქციოა და საერთოდ ამოღებული უნდა ყოფილიყო.¹²

ეფიქრობთ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული შეხედულება, იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველის ორად გაყოფას მხოლოდ და მხოლოდ ის მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ამით უფრო მეტად გაიზრდებოდა საპროცესო შეთანხმების დადების არეალი, რადგანაც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, როგორც წესი, ბრალდებული ან აღიარებს წარდგენილ ბრალდებას, ან არა, მაგრამ თანახმაა პროკურორის შეთავაზებულ სასაქონლო ზომაზე. ამდენად, პირველი საფუძველის არსებობითაც ბრალდებულს შესაძლებლობა ჰქონდა დათანხმებოდა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასაქონლო ზომაზე, როგორც ამას ცალკეული (ესპანეთი, იტალია და ა.შ.) კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს.¹³ ამავე შეხედულებას იზიარებს ასევე პროფ. გ. ალანია.¹⁴

ამჟამად საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით გაუქმდა საპროცესო შეთანხმების საფუძველის ორად გაყოფა და დადგინდა, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორის სასაქონლოზე, ბრალდების შემსუბუქებაზე და ნაწილობრივ მოხსნაზე.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე.

საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი შეთანხმებით.

საპროცესო შეთანხმებების დადების შეთავა-

10 ნ. გვენეტაძე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმი, საპროცესო შეთანხმება, წიგნში „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 22-23.

11 რ. გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება – ყველა კატეგორიის დანაშაულზე? ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“, 2007, N2, გვ. 91.

12 ც. რატიანი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, N1, გვ. 169.

13 მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები სამეცნიერო კრებულში „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, სტუ-ს გამ. 2012, გვ. 34-35.

14 გ. ალანია, საპროცესო შეთანხმება და სასაქონლო ზომაზე სრულად გათავისუფლება, გამომცემლობა „საარი“, 2009, გვ. 53.

ზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია გააკვიოს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისგან.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება. მართალია, საპროცესო კანონმდებლობაში მითითებული არ არის, თუ რა შემთხვევაში აქვს უფლება გენერალურ პროკურორს, პირი გაათავისუფლოს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

დაუშვებელია ისეთი საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლების, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები, რომელიც ოქმს ერთვის. საპროცესო შეთანხმების ოქმს ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სასამართლო უფლებამოსილია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, საქმის პროკურორისათვის დაბრუნების და კანონით დადგენილი წესით საქ-

მის არსებითი განხილვის თაობაზე. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს შესაბამისი სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით. სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამონებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის III ნაწილი ავალდებულებს სასამართლოს საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში შეამოწმოს დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.

სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ მას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხი ვერ მიიღო.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხ. მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხ. 11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, სსსკ 212-ე მუხ. მე-2 ნაწ. გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხი მიიღო, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანის თაობაზე. ამასთანავე, სამართლებრივი ნორმა იმპერატიულად ავალდებულებს მოსამართლეს, რომ განაჩენი დაადგინოს პროკურორის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის: დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს გადასცემს ზემდგომ პროკურორს. ზე-

მდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.

სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს, პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე სასამართლო მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვალოს საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.

თუ სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს ან ბრალდებულს თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება.

სასამართლო განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და საჩივრდება 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

ა) საპროცესო შეთანხმება იძულებით, მუქარით,

ძალადობით, დაშინებით და მოტყუებით დაიდო;

ბ) ბრალდებულს შეუზღუდა დაცვის უფლება;

გ) საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს.

განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს გადაეცემათ განაჩენის ასლები.

დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას. პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს.

უკანასკნელ ხანს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულის უფლებების მცირეოდენ, მაგრამ შედარებით გაზრდაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მართალია, მას უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიანოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწია, ამასთანავე, საპროცესო შეთანხმება არ ართმევს უფლებას შეიტანოს სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლში გათვალისწინებულია ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან სრულად გათავისუფლება და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვა, ეს ისეთი განსაკუთრებული პირობებია, როდესაც ბრალდებულის (მსჯავრდებულის) საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა თანამდებობის პირი, ან/და მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები. საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან სრულად გათავისუფლების შესახებ.

ვისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

ზემოაღნიშნული შუამდგომლობის საფუძველია ბრალდებულსა (მსჯავრდებულსა) და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ.

ამ დროს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. მსჯავრდებულის შემთხვევაში საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე სასჯელის მოუხდელი ვადა. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისმგებლობაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება, მისი პირობების შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული (მსჯავრდებული), მისი ადვოკატი და საქართველოს გენერალური პროკურორი. სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული ითვლება ნასამართლევად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა თანამდებობის პირის ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვე-

ვაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების, სასჯელი სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-1443 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, ასევე არასრულწლოვანის წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე, 139-ე, 141-ე, 253-ე-255-ე და 255 პრიმა და 255 სეკუნდა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია ეს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საქართველოში შემოღებისთანავე საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, ასევე თეორიტიკოსთა შორისაც გაჩნდა განსხვავებული მოსაზრება და მიდგომა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან მიმართებაში.

ავტორთა ნაწილი დადებითად აფასებდა მის შემოღებას,¹⁵ ზოგს კი მიაჩნდა, რომ საპროცესო შეთანხმება ქართულ საპროცესო კანონმდებლობისათვის უარყოფით ინსტიტუტს წარმოადგენდა,¹⁶ ხოლო ცალკეული ავტორები, მართალია, დადებითად აფასებენ, მაგრამ მისი სრულყოფის მიზნით გვთავაზობენ ცალკეულ წინადადებებს.¹⁷

იურიდიულ მეცნიერებაში დღესაც მიმდინარეობს დავა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით. აღნიშნავენ როგორც მის დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არაერთგვაროვან და წინააღმდეგობრივ განვითარების გზას და მისი პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემატიკას, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა ინსტიტუტმა უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული მართლმსაჯულების სისტემაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების პრაქტიკაში რეალიზაციისას მრავალი ნაკლოვანება გამოვლინდა და ამ ინსტიტუტმა განსაკუთრებით წინა ხელისუფლების დროს, უკიდუ-

15 ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, N3, გვ. 54-63; გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბ., 2007. გვ. 34.

16 გ. მეფარიშვილი, სისხლის სამართალწარმოებს ზოგიერთი კონცეპტუალურ საკითხთან დაკავშირებით. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, N3; ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში: მითი და რეალობა. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, N3.

17 გ. ალანია. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან გათავისუფლების პრობლემები. თბილისი, გამომც. „საარი“, 2009; მ. მამნიაშვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. „მარჯი“, N1. გვ. 182-183.

რესად მახინჯი სახე მიიღო, ის ბიუჯეტის შევსების ერთერთ წყაროს წარმოადგენდა.

ამის მკაფიო გამოხატულებაა განვლილი თხუთმეტი წლის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, როდესაც მყისიერად შესუსტდა გამომძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში, ხოლო მის კვალობაზე განუზომლად გაიზარდა პროკურორის ფუნქციები, რადგანაც საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში წარმართულ საქმეთა 90%-ზე მეტ საქმეზე განაჩენი საპროცესო შეთანხმების შედეგად დგინდებოდა, ხოლო საპროცესო შეთანხმების გაფორმება დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ პროკურორის „კეთილ ნებაზე“, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებისა და მისი მხრიდან გარკვეული ფულადი თანხის ჯარიმის გადახდის „სურვილის“ გამოხატვით. და დღესაც საზოგადოებისათვის უცნობია, 2004-2012 წლებში საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად ბრალდებულებს რა რაოდენობის ფულადი თანხა აქვთ გადახდილი.¹⁸

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა განსაკუთრებით გაიზარდა მოქმედი საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ, საკმარისია აღინიშნოს, რომ 2010-2013 წლებში საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში წარმართული საქმეების თითქმის 80 პროცენტზე მეტი საპროცესო შეთანხმებით მთავრდებოდა, ასე, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური აგაროების მიხედვით, 2012 წელს საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა შეადგენდა 7897-ს. რაც, მთლიანად ქვეყანაში სასამართლოში წარმართულ საქმეთა 87,8%-ს შეადგენს¹⁹. უნდა ითქვას ისიც, რომ გამოძიების სტადიაზე „თანასწორობისა და შეფიქრებულობის პრინციპი“ უბრალოდ გამოიყენებული იყო და ფაქტობრივად პროკურორის ნებაზე იყო დამოკიდებული, სასამართლო ორგანოები მტკიცებულებად აღიარებდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ გადაცემულ ინფორმაციებს (მტკიცებულებებს), მეტიც, 2004-2012 წლებში დადგენილი განაჩენებიდან გამამართლებელი განაჩენი ძალზე იშვიათი იყო. მით უმეტეს თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ დროისათვის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულების სტანდარტს, მოსამართლეები უფრო თამამად აკმაყოფილებდნენ პროკურორების შუამდგომლობებს, მაგალითად:

გენერალური პროკურატორის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამო-

ძიების დეპარტამენტის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე რომან ალთუნაშვილის მიმართ.

2010 წლის 6 აპრილს, რომან ალთუნაშვილი რუსთავის რაიონული სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონო პრივატიზების ფაქტზე, ჩადენილი არაერთგზის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეხამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2007 წლის 02 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია). მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის სახედ და ზომად საბოლოოდ განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 5 წლით გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომან ალთუნაშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე მისი კუთვნილი, დაახლოებით 60 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთები, რომლებიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად იქნა მიჩნეული.

ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული იქნა ახალი მტკიცებულებები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ რომან ალთუნაშვილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სამსახურისთვის არ მიუწოდებია მცდარი ინფორმაცია. საქმეზე გამოკითხული მოწმეების ჩვენებებით და მოპოვებული წერილობითი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ რომან ალთუნაშვილს თეთრიწყაროს საკრებულოს ფონდში არ ჰქონდა დაბრუნებული, თავის დროზე იჯარით აღებული 43,6 ჰა მიწის ნაკვეთი და გააჩნდა კანონიერი საფუძველი, რომ 1997 წლის 10 ივლისს გაფორმებული №75 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოეხდინა 60 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია. უფრო მეტიც, ხელახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული იქნა დოკუმენტური მტკიცებულება, რომლის თანახმად რომან ალთუნაშვილი ფიქსირდებოდა გადამხდელთა რეესტრში და იგი იხდიდა იჯარის გადასახადს ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთებზე. ამდენად მის მიერ ხსენებული ნაკვეთების სახელმწიფოსთვის ვითომდა დაბრუნების ფაქტი არ დადასტურდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ რომან ალთუნაშვილისა და ჯემალ ხინიკაძის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება მსჯავრდებულის უფლების არსებითად და-

18 მ. მამნიაშვილი, საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი და მისი სრულყოფის ცალკეული პრობლემები, ჟურნალი „თემიდა“, N 14 (16)- 2021, გვ. 202- 2017;

19 http://www.Supremecourt.ge/files/upload-sfile/pdf/5_sapt/pdf

რღვევის თაობაზე და იგი მიმართავს სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად 14 პირის მიმართ, რომელთაგან 12 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, დადგენილი იქნა უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტები, რის შედეგადაც უარი ითქვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე და აღნიშნულ პირთა მიმართ დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენები.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 407 პირი, რომელთაგან 293 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 57 750 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.²⁰

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რადიკალური ღონისძიებები იქნა გატარებული, როგორც სისხლის სამართლის, ასევე საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით, სასამართლო ორგანოები განთავისუფლდნენ პროკურატურის „წნეხისაგან“, იმის გამო, რომ შემუშავდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გასატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი, სასამართლო ორგანოები მკაცრად იცავენ მას და აქცევენ საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებში, რის გამოც მკვეთრად შემცირდა საპროცესო შეთანხმებით დამთავრებულ საქმეთა ოდენობა და ის 60%-ს არ აღემატება, მომრავლდა ასევე სასამართლო ორგანოების მიერ გამამართლებელ განაჩენთა დადგენის რაოდენობაც.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენი კანონმდებლობა დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ არსებითად გადაისინჯოს საპროცესო შეთანხმებისადმი მიდგომა და ახლებურად წარმოჩინდეს ეს ინსტიტუტი, რათა მასში სრულყოფილად აისახოს შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპი და შესაბამისად მხარეთა პროცესუალური უფლებები.

ვფიქრობთ, არ არის გამართებული, რომ საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე იყო გამოყენებული, რადგან, უმჯობესი იქნება, თუ ის გაფორმდება ნაკლებად მძიმე ან/და კორუფციულ დანაშაულებებზე.

დღის წესრიგში დადგა ზოგადად დაზარალებ-

ბულის უფლებრივი მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გაზრდა სისხლის სამართალწარმოების პროცესში და კერძოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების ინსტიტუტის რეგულაციის დახვეწა, უმჯობესი იქნება, თუ საპროცესო კანონმდებლობა გაითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე პროკურორის დაზარალებულთან არა „კონსულტაციის“ გავლას, არამედ მისგან თანხმობის მიღებას. ამასთან, პროკურორს უნდა ჰქონდეს უფლება, დაზარალებულის თანხმობის გარეშეც მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების შესახებ,²¹ ოღონდ ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს უნდა მიეცეს ასეთი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. აღნიშნული პროცესუალური წესების რეგულაცია საპროცესო კანონმდებლობის დონეზე, პროკურორს აიძულებს, უფრო მეტი სიფრთხილით და სკუპულობურად მოახდინოს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების პროცედურების ჩატარება, საჯარო ინტერესებთან ერთად, ასევე გაითვალისწინოს დაზარალებულის ინტერესებიც.

ვფიქრობთ, ამ ნოვაციით უფრო მეტად გაიზრდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების საზღოობა და, რაც მთავარია, მხარეებს აღარ ექნებათ პრეტენზიები საპროცესო შეთანხმების გაფორმების კანონიერებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=157> (18. 09. 2023);
2. ალანია გ., საპროცესო შეთანხმება და სასჯელისგან სრულად გათავისუფლების პრობლემები, გამომცემლობა „საარი“, 2009;
3. გაბრიჩიძე ნ. საპროცესო შეთანხმება. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. N3. 2004. გვ. 55. ჟურნ. „სამართალი“, 2004, N5-6;
4. გვენეტაძე ნ., ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმი, საპროცესო შეთანხმება, წიგნში „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005;
5. გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია. გამომცემლობა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი, 2005;

20. იხილეთ, ყოფილი მსჯავრდებულები სასამართლომ გაამართლა. GEO ENC BUS სამართალი 15.04.2021, 11:29 132

21 მ. მაშნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ნ. ლომიძე, სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. მე -11 სერია, გვ. 624-630;

6. გოგშელიძე რ., საპროცესო შეთანხმება – ყველა კატეგორიის დანაშაულზე? ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“, 2007, N2;
7. მამნიაშვილი მ., სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები სამეცნიერო კრებულში „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, სტუ-ს გამ. 2012;
8. მამნიაშვილი მ., სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, სსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008;
9. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., ლომიძე ნ., სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. მე-11 სერია;
10. მეფარიშვილი გ., სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კოცეპტუალურ საკითხთან დაკავშირებით. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, N3;
11. რატიანი ც. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში: მითი და რეალობა. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, N3;
12. მეფარიშვილი გ., სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუტი და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 16.08.2002;
13. ჩიხლაძე კ., საპროცესო შეთანხმება საქართველოსა და საზღვარგარეთ, ქუთაისი, 2017;
14. ჭანტურიძე გ., საპროცესო შეთანხმება, სისხლის სამართლის პრინციპებთან მიმართებაში, გამომც. „თსუ“, თბილისი, 2007;
15. მ. მამნიაშვილი, ფორმალური ბრალის აღიარება, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. „იურისტების სამყარო“, 2015;
16. მ. მამნიაშვილი, საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი და მისი სრულყოფის ცალკეული პრობლემები, ჟურნალი „თემიდა“, N 14 (16)- 2021;
17. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007;
18. ყოფილი მსჯავრდებულები სასამართლომ გაამართლა. GEO სამართალი 15.04.2021, 11:29 132;
19. George Fisher. Plea a Bargainings triumph: a history of plea Bargaining in Amerika. Standard Universiti Press, 2003;
20. Mary E. Vogel, Plea Bargaining, the Courts and the Makind of Policial Authorits, Oxsford Universiti Press, 2007;
21. Neolauer D.W., America's courts and the criminal justice sistem. North scituate (Mass), 1979;
22. Стивен Тейман (профессор права Сент-луйского университета США) Сделки о признании вины и сокращения формы судопроизводства: по какому пути пойдёт Россия ; «Российская юстиция», N10, 1998;
23. http://www.Supremecourt.ge/files/upload-sfile/pdf/5_sapt/pdf.